რა არის სპეციალური სავაჭრო კომპანია?

- სპეციალური სავაჭრო კომპანია არის საწყობის საქმიანობის ნებართვის მქონე საწყობში საქმიანობის განმახორციელებელი საწარმო;
- თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია საქონლის რეექსპორტთან, ბიზნესის ეფექტურად წარმართვისა და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლების მიზნით ხელსაყრელია საწყობში საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს – სპეციალური სავაჭრო კომპანიის, დაფუძნება;
- სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ ამ მიზნით შექმნილ საწარმოს რეგისტრაციასთან ერთად მიმდინარე და მომავალი კალენდარული წლებისთვის.

რა უპირატესობა ახასიათებს სპეციალურ სავაჭრო კომპანიას?

თქვენ შეძლებთ:

- განახორციელოთ უცხოური საქონლის რეექსპორტი;
- განახორციელოთ უცხოური საქონლის მიწოდება როგორც სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე, ასევე სტატუსის არმქონე საწარმოებზე;
- შემდგომი რეექსპორტის ან/და მიწოდების მიზნით არანაკლებ სატარიფო ღირებულებით შეისყიდოთ უცხოური საქონელი სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის არმქონე საწარმოებისაგან;
- ზემოთ გათვალისწინებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გარდა მიიღოთ სხვა შემოსავალი, მათ შორის:

- ✓ შემოსავალი, რომელიც საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, წელზე მეტი ვადით ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალების მიწოდებიდან (2 წლამდე ვადით). ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალების მიწოდება იწვევს დაჯარიმებას ასეთი საქონლიდან მიღებული ან/და მისაღები კომპენსაციის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

- ✓ შემოსავალი, გარდა ზემოთ გათვალისწინებულისა, რომლიდანაც შემოსავალი საქართველოში არსებული წყაროდან საგადასახადო პერიოდის (წლის) მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 1 მილიონ ლარს და საქართველოში შემოტანილი უცხოური საქონლის სატარიფო ღირებულების 5 პროცენტს (გადამეტება დადგენილ ზღვრულ რაოდენობაზე იწვევს დაჯარიმებას გადამეტებული თანხის 50 პროცენტის ოდენობით).

რა ეკრძალება სპეციალურ სავაჭრო კომპანიას?

ეკრძალება:

- განახორციელოს საქონლის იმპორტი საქართველოში, გარდა ამ საწარმოს ძირითადი საშუალებისათვის განკუთვნილი იმპორტისა;

- შემდგომი მიწოდების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე შეისყიდოს საქართველოში წარმოებული საქონელი;

- მომსახურება გაუწიოს საქართველოს საწარმოს/ინდივიდუალურ მეწარმეს ან/და უცხოური საწარმოს მუდმივ დაწესებულებას საქართველოში;

- ჰქონდეს საწყობის საქმიანობის ნებართვის მქონე საწყობი.

როგორ მოვიპოვო სპეციალური სავაჭრო კომპანიის საქმიანობის ნებართვა?

სპეციალური სავაჭრო კომპანიის საქმიანობის ნებართვის მიღების მიზნით განცხადებით უნდა მიმართოთ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტს (მის.: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1; ტელ.: 226 21 67).

განცხადება უნდა შეიცავდეს:

- ✓ საწარმოს სახელწოდებას და სამართლებრივ ფორმას;
- ✓ საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერს, სტატუსის მოქმედების ვადას (რომელშიც შეიძლება მიეთითოს - „უვადო“ ან კონკრეტული წელი);
- ✓ განცხადების წარდგენის თარიღს და საწარმოს უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას.

სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების განხილვა და სტატუსის მინიჭების სერტიფიკატის გაცემა ხორციელდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა,

თუ ნებართვა მჭირდება:

- თუ თქვენ მიერ შემოსატანი/გასატანი საქონლისათვის საჭიროა ქვემოთ ჩამოთვლილი ნებართვები/სერტიფიკატები, მათი მიღება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურში მარტივი პროცედურით, მათ შორის, დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენის გზით.
- შემოსავლების სამსახური, „ერთი სარკმლის პრინციპზე“ დაყრდნობით, უნველყოფს შემდეგი ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემას:
- ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვას;
- ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვას;

- ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვას;

- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვას;

- არაიოდიზებული მარილის იმპორტის ნებართვას;

- ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს და რეექსპორტის ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატს;
- ვეტერინარულ სერტიფიკატს;
- „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვას;

- ჰიგიენურ სერტიფიკატს;

- მოწმობას გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების შესახებ;

- წარმოშობის სერტიფიკატს, გარდა ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტისას.